**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის**
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

1/153

05/04/2023

**ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე**

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №1/24 ბრძანების მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარების სტრატეგიის (2021-2025) დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 11 ივლისის №1/258 ბრძანებისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა", თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებულ პირთათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისის, აღმაშენებლის ხეივანი №64).

მინისტრი
ვახტანგ გომელაური

## *ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა*

### მიზანი: დანაშაულის პრევენციისა და მასზე რეაგირების გაუმჯობესება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს დანაშაულის შემცირებას

| ამოცანა 1. შინაგან საქმეთა სამინისტროში ანალიტიკური მიმართულებით არსებული ორგანიზაციული მოწყობის ოპტიმიზაცია და სამართლებრივი ბაზის დახვეწა | | | | | | | დაფინანსების წყარო | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აქტივობა | აქტივობის ინდიკატორი | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი ქვედანაყოფი | პარტნიორი ქვედანაყოფი/უწყება | შესრულების ვადა (წელი, კვ.) | ბიუჯეტი (₾) | სახელ. ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | ოდენობა (₾) | კოდი | ოდენობა (₾) | ორგანიზაცია | |
| 1.1. ანალიტიკური ქსელის საქმიანობის წესის სახელმძღვანელოს შემუშავება | 1.1.1. შემუშავებულია სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს ანალიტიკოსთა საქმიანობისა და კოორდინაციის საკითხებს | ანალიტიკური ქსელის საქმიანობის წესის განმსაზღვრელი სახელმძღვანელო | საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი | | 2023 წლის III კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი | | 30 01 | | | |
| 1.2. შინაგან საქმეთა სამინისტროში ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელი მოსამსახურეების საშტატო ერთეულების სტანდარტიზება | 1.2.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს მასშტაბით სტანდარტიზებულია ანალიტიკოსთა საშტატო ერთეულები | შესაბამისი საშტატო ნუსხა/შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში | ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი | ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი შსს-ს დანაყოფები | 2024 წლის I კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი | | 30 01 | | | |
| 1.3. სამართლებრივი ცვლილებების საჭიროების ანალიზი | 1.3.1. ჩატარებულია ანალიზი და განსაზღვრულია შესაბამისი საჭიროებები სამართლებრივი ცვლილებების საჭიროების კუთხით | განხორციელებული ანალიზი (დოკუმენტი) | საინფორმაციო - ანალიტიკური დეპარტამენტი | იურიდიული დეპარტამენტი | 2025 წლის IV კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი | | 30 01 | | | |
| 1.4. ანალიტიკური საქმიანობის ფარგლებში, ინფორმაციის შეგროვების/მიმოცვლის წესებისა და შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმის შესახებ ბრძანების პროექტის შემუშავება/დამტკიცება | 1.4.1. შემუშავებული და დამტკიცებულია შესაბამისი ბრძანება | შემუშავებული/დამტკიცებული ბრძანება | საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი | იურიდიული დეპარტამენტი | 2024 წლის I კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი | | 30 01 | | | |
| 1.5. ანალიტიკოსთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება | 1.5.1. შემუშავებულია ანალიტიკოსთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი დოკუმენტი | ანალიტიკოსთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი დოკუმენტი | საინფორმაციო - ანალიტიკური დეპარტამენტი | ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი შსს-ს დანაყოფები | 2023 წლის III კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი | | 30 01 | | | |
| 1.6. შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ანალიტიკური განყოფილების საჭიროებების კვლევა, არსებული სიტუაციის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება | 1.6.1. შემუშავებულია საჭიროებებისა და შესაბამისი რეკომენდაციების ამსახველი დოკუმენტი | საჭიროებებისა და რეკომენდაციების ამსახველი დოკუმენტი | საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი | საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი | 2025 წლის IV კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი | | 30 01 | | | |

| ამოცანა 2. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების განვითარება | | | | | | | დაფინანსების წყარო | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აქტივობა | აქტივობის ინდიკატორი | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი ქვედანაყოფი | პარტნიორი ქვედანაყოფი/უწყება | შესრულების ვადა (წელი, კვ.) | ბიუჯეტი (₾) | სახელ. ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | ოდენობა (₾) | კოდი | ოდენობა (₾) | ორგანიზაცია | |
| 2.1. ანალიტიკოსთა პროფესიული უნარების განვითარების მიზნით შესაბამისი საჭიროებების იდენტიფიცირება, ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება (მათ შორის სპეციალიზაციის საჭიროებები) | 2.1.1. შემუშავებულია საჭიროებებისა და რეკომენდაციების ამსახველი დოკუმენტი | საჭიროებებისა და რეკომენდაციების ამსახველი დოკუმენტი | საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი | სსიპ - შსს აკადემია, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი შსს-ს დანაყოფები | 2025 წლის III კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი | | 30 01 | | | |
| 2.2. საჭიროებების კვლევის შედეგად განსაზღვრული რეკომენდაციების საფუძველზე ანალიტიკოსთა გადამზადება/ სპეციალიზაცია | 2.2.1. განხორციელებული ტრენინგების/სწავლებების რაოდენობა<br>2.2..2. გადამზადებულ ანალიტიკოსთა რაოდენობა | შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში | საინფორმაციო - ანალიტიკური დეპარტამენტი | სსიპ - შსს აკადემია, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი შსს-ს დანაყოფები, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | 2025 წლის IV კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი/დონორ(ებ)ის დაფინანსება | | 30 01 | | | |
| 2.3. ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერჰიგიენის საკითხებზე ანალიტიკოსების ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი ღონისძიებ(ებ)ის/ტრენინგ(ებ)ის განხორციელება | 2.3.1. განხორციელებული ღონისძიებ(ებ)ი/ტრენინგ(ებ)ი<br>2.3.2. გადამზადებულ ანალიტიკოსთა რაოდენობა | შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში | სსიპ - შსს აკადემია | ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი შსს-ს დანაყოფები, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | 2025 წლის IV კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი/დონორ(ებ)ის დაფინანსება | | 30 01 | | | |
| 2.4. ანალიტიკოსთა სასწავლო/საბაზისო კურსის დანერგვა | 2.4.1. შემუშავებულია და სსიპ - შსს აკადემიაში დანერგილია შესაბამისი სასწავლო საბაზისო კურსი ანალიტიკოსთათვის | სსიპ - შსს აკადემიის ანგარიში | საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი | სსიპ - შსს აკადემია, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი | 2023 წლის I კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი | | 30 01 | | | |
| 2.5. შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მომუშავე ანალიტიკოსთა გადამზადება/შესაძლებლობების განვითარება | 2.5.1. განხორციელებული ტრენინგების/სწავლებების რაოდენობა<br>2.5.2. გადამზადებულ ანალიტიკოსთა რაოდენობა | შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში | საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი | საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | 2025 წლის IV კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი/დონორ(ებ)ის დაფინანსება | | 30 01 | | | |
| 2.6. შინაგან საქმეთა სამინისტროში ანალიტიკოსთა (დეტექტივ ანალიტიკოსი და უფროსი დეტექტივ ანალიტიკოსი) საშტატო ერთეულებზე შესაბამისი ანალიტიკოსების შერჩევა და დანიშვნა | 2.6.1. შერჩეული/დანიშნული ანალიტიკოსების რაოდენობა | შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში | ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი | საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, შსს-ს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოები/დეპარტამენტები | 2025 წლის IV კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი | | 30 01 | | | |
| 2.7. საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა/გაზიარება | 2.7.1. ჩატარებული სასწავლო ვიზიტებისა და შეხვედრების რაოდენობა | შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განმახორციელებელი შსს-ს დანაყოფები | 2025 წლის IV კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი/დონორ(ებ)ის დაფინანსება | | 30 01 | | | |
| 2.8. ანალიტიკოსთა სახელფასო პოლიტიკის სტანდარტიზება | 2.8.1. სახელფასო პოლიტიკა სტანდარტიზებულია/საშტატო განრიგებაში/ნუსხაში ცვლილებები ასახულია | შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში | ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი | ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი შსს-ს დანაყოფები, ეკონომიკური დეპარტამენტი | 2025 წლის IV კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი | | 30 01 | | | |

| ამოცანა 3. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფის (მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების) განვითარება | | | | | | | დაფინანსების წყარო | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აქტივობა | აქტივობის ინდიკატორი | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი ქვედანაყოფი | პარტნიორი ქვედანაყოფი/უწყება | შესრულების ვადა (წელი, კვ.) | ბიუჯეტი (₾) | სახელ. ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | ოდენობა (₾) | კოდი | ოდენობა (₾) | ორგანიზაცია | |
| 3.1. არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის შეფასება და საჭიროებების ანალიზი | 3.1.1. შეფასებულია არსებული სიტუაცია და განსაზღვრულია საჭიროებები (დოკუმენტი) | არსებული საჭიროებების ანალიზის დოკუმენტი | საინფორმაციო - ანალიტიკური დეპარტამენტი | ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი შსს-ს დანაყოფები, ეკონომიკური დეპარტამენტი | 2025 წლის III კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი | | 30 01 | | | |
| 3.2. საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი აღჭურვილობის და პროგრმული უზრულველყოფის შეძენა | 3.2.1. საჭიროებისამებრ შეძენილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა | მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი | ეკონომიკური დეპარტამენტი | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი შსს-ს დანაყოფები | 2025 წლის IV კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი/დონორ(ებ)ის დაფინანსება | | 30 01 | | | |
| 3.3. არსებული პროგრამული უზრუნველყოფების მოდერნიზაცია | 3.3.1. მოდერნიზებულია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა | შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში | საინფრომაციო - ანალიტიკური დეპარტამენტი | ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი შსს-ს დანაყოფები, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | 2025 წლის IV კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი/დონორ(ებ)ის დაფინანსება | | 30 01 | | | |
| 3.4. რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე ინფორმაციის უწყვეტი მიმოცვლის, შეჯერებისა და მუდმივი განახლების ერთიანი ეფექტიანი სისტემის დანერგვა (ტექნიკურ დონეზე) | 3.4.1. დანერგილია ერთიანი ეფექტიანი სისტემა | შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში | საინფორმაციო - ანალიტიკური დეპარტამენტი | ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი შსს-ს დანაყოფები | 2025 წლის IV კვარტალი | ადმინისტრაციული ხარჯი | | 30 01 | | | |